ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №18

ქ. თბილისი 9 იანვარი 2013 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2 შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „აკა“-ს (მდებარე ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6 შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს, „მერსედეს ბენცის“ ფირმის (რეანომობილი სახ.№ZIZ-155; გამოშვების წელი 2010, საიდ.№WDB9066331S447435) ავტომანქანის ტექნიკურ მომსახურებას (ავტომანქანის მიმდინარე რემონტი და სათადარიგო ნაწილები) ხელშეკრულებაზე თანდართული ჩამონათვალის და ფასების მიხედვით (დანართი) „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად (კლასიფიკატორის კოდი 50100000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით;

2.2 ხელშეკრულების ღირებულება ითვალისწინებს ავტოსათადარიგო ნაწილის და მომსახურების ღირებულებას დანართის მიხედვით.

მუხლი 3. საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა ხდება „მიმწოდებლის“ მიერ ეტაპობრივად 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად „მიმწოდებლის“ მისამართზე.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

4.2 „მიმწოდებელმა“ მომსახურების გაწევის შემდეგ „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები - სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 6. გარანტია

6.1 „მიმწოდებელი“ იძლევა მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების აღნიშნულ სფეროში არსებული სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს მიწოდებული უხარისხო საქონლისა და უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურების ხარისხისა და ვადების შემოწმების გზით;

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენლები:

1) ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - ზ. მოისწრაფიშვილი;

2) ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი – გ. მთივლიშვილი;

3) ბიუჯეტის დაგეგმვის, კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - თ. რამაზაშვილი.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.3.1. შეამოწმოს მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5 „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად პრესიკურანტში რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანისაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით, ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს;

9.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" და „შემსყიდველს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის" გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

12.3 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს გასაწევი მომსახურების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი-„შემსყიდველს“, მეორე-„მიმწოდებელს“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“:	**„მიმწოდებელი“:**
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	შპს „აკა“
ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის – 4001 ა/ა №200122900 კოდი 220101222 საიდენტიფიკაციო კოდი 203840344	სს „ბანკი რესპუბლიკა“ ა/ა №GE67BR0000000006467464 კოდი REPLGE22 საიდენტიფიკაციო კოდი 204875082
„შემსყიდველის“ სახელით:	„მიმწოდებლის“ სახელით:
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილე	შპს „აკა“-ს დირექტორი
გ. ბარიშვილი	**დ. მკალავიშვილი**

. №	ავტომანქანის მარკა	სახ. №	საინდ №	გამოშ. წელი
1	მერსედეს-რეანომობილი	ZIZ-155	WDB9066331S447435	2010

Mercedes-Benz

შპს "აკა"
სს დაიმლერის გენერალური
წარმომადგენლობა საქართველოში

მერსედეს-ბენცის ავტომობილები
ნაწილები და აქსესუარები
სერვისი და ტექ. მომსახურება
საიდ.კოდი 204875082

სახელმწიფო დაცვის სპეც სამსახურს

გაცნობებთ ავტომანქანა Mercedes-Benz 315 KA 4X2 3665 -ის საიდენტიფიკაციო ნომრით: WDB9066331S447435 ნაწილებისა და შესასრულებელი სამუშაოს ფასებს.

1	წინა მარცხენა ფარი	1ც	612	612
2	უკანა მარცხენა ფარი	1ც	275	275
3	წინა მარჯვენა ფარი	1ც	612	612
4	უკანა მარჯვენა ფარი	1ც	275	275
5	წინა ბამპერი(კომპლექტი)	1ც	900	900
6	უკანა ბამპერი(კომპლექტი)	1ც	700	700
7	რულის აირბაგი	1ც	2640	2640
8	სიმაღლის დონის დაჩიკი	1ც	342	342
9	აკუმულატორი	1ც	589	589
10	წინა სამფონდი	1ც	797	797
11	რელეების ბლოკი	1ც	236	236
12	სიგნალი	1ც	81	81
13	ისტრუმენტების მაჩვ.დაფა	1ც	1310	1310
14	ციმციმის ჩამრთველი ბერკეტი	1ც	192	192
15	abs–ის დაჩიკები	1ც	261	261
16	კარის ჩამკეტი მექანიზმი	1ც	173	173
17	კარის გამღები სახელური	1ც	43	43
18	შუშის ამწევი მექანიზმი	1ც	242	242
19	შუშის ამწევი ელ.ძრავი	1ც	170	170
20	კარის კრონშტეინი	1ც	78	78
21	მარჯვენა სარკე	1ც	550	550
22	მარცხენა სარკე	1ც	550	550
23	უსფრთხოების ღვედი	1ც	420	420
24	ავარიული სიგნალის ჩამრთველი	1ც	303	303
25	შუშების ამწევი ბლოკი	1ც	258	258
26	შუშების მწმენდის ძრავი	1ც	430	430
27	აირბაგის პროცესორი	1ც	2251	2251
28	მონიტორი	1ც	860	860
29	ფეჩის ვენტილიატორი	1ც	300	300
30	დამცველი	1ც	5	5
31	შუშებზე წყლის მისასხმელის ძრავი	1ც	100	100
32	შუშებზე წყლის მისასხმელის ავზი	1ც	60	60
33	რადიატორის წყლის გამანაწილებელი ავზი	1ც	126	126
34	ძრავის საყრდენი ბალიში	1ც	130	130

სერვისის განყოფილება შპს "აკა" AKA GmbH SERVICEABTEILUNG

35	გადაც.კოლოფის საყრდენი ბალიში	1ც	190	190
36	წინა მარჯვენა ფრთა	1ც	300	300
37	წინა მარცხენა ფრთა	1ც	300	300
38	ძრავის სარქველის ჩობალი	1ც	32	32
39	აბაგრევი	1ც	63	63
40	საწვავის მფრქვევანა	1ც	1050	1050
41	წყლის ტუმბო	1ც	375	375
42	თერმოსტატი	1ც	131	131
43	ზრავის ღვედის დამჭიმი	1ც	200	200
44	ძრავის ღვედი	1ც	124	124
45	ძრავის მუხლალილვის შკივი	1ც	571	571
46	საწვავის ტუმბო	1ც	3709	3709
47	ზეთის დონის დაჩიკის მანჟეტი	1ც	7	7
48	ზეთის შუპის მანჟეტი	1ც	6	6
49	ზეთის კარტერის შუასადები	1ც	46	46
50	ძრავის კრიშკის საფენი	1ც	57	57
51	გერმეტიკი	1ც	50	50
52	ძრავის ღვედის მიმმართველი როლიკი	1ც	69	69
53	წინა სამუხრუჭე ხუნდები	1ც	233	233
54	წინა სამუხრუჭე მორგვი	1ც	227	227
55	წინა მუხრუჭის სუპორტი	1ც	605	605
56	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	1ც	296	296
57	უკანა სამუხრუჭე მორგვი	1ც	227	227
58	უკანა სამუხრუჭე სუპორტი	1ც	431	431
59	ჰაერის ფილტრი	1ც	72	72
60	ზეთის ფილტრი	1ც	40	40
61	საწვავის ფილტრი	1ც	134	134
62	წინა ქვედა გიტარა	1ც	823	823
63	ძრავის ზეთი	1ლ	28	28
64	წინა პოჭოჭიკი	1ც	713	713
65	ცეპლენიის პლიტა+დისკი	1ც	1201	1201
66	უკანა მარცხენა ყუმბარა	1ც	1214	1214
67	უკანა მარჯვენა ყუმბარა	1ც	1214	1214
68	უკანა პოჭოჭიკის საკისარი	1ც	90	90
69	წინა ამორტიზატორი	1ც	532	532
70	უკანა ამორტიზატორი	1ც	248	248
71	დამწოლი (ვიჟიმნოი საკისარ)	1ც	655	655
72	საწვავის ტუმბოს სარქველი	1ც	343	343
73	საჭის წევა	1ც	300	300
74	საჭის ბუნიკი	1ც	165	165
75	გიდრავლიკის ზეთი	1ლ	35	35
76	გიდრავლიკის მილი	1ც	72	72
77	წინა ფარის ნათურა	1ც	28	28
78	გიდრავლიკის ტუმბო	1ც	1057	1057

სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება დროის მიხედვით :

სერვისის განყოფილება შპს "ა კ ა" AKA GmbH SERVICEABTEILUNG

1	სავალი ნაწილის შეკეთება - 1 საათი 46 ლარი (ერთი ხელოსანი)
2	ძრავის ამოღება-ჩადგმა - 1 საათი 46 ლარი (ერთი ხელოსანი)
3	ძრავის დაშლა-აწყობა - 1 საათი 46 ლარი (ერთი ხელოსანი)
4	კოლოფის მოხსნა-დაყენება - 1 საათი 46 ლარი (ერთი ხელოსანი)
5	კოლოფის დაშლა-აწყობა - 1 საათი 46 ლარი (ერთი ხელოსანი)
6	რაზვალი - 1 საათი 46 ლარი (ერთი ხელოსანი)
7	ელექტრო სამუშაო - 1 საათი 66 ლარი (ერთი ხელოსანი)
8	სალონის სამუშაო (საქარე მინის შეცვლა) 1საათი 46 ლარი
9	ვულკანიზაცია 1 საათი 120 ლარი (ერთი ხელოსანი)

პატივისცემით

შპს "აკა"-ს სერვისის მენეჯერი

დიმიტრი გონაშვილი

სერვისის განყოფილება
შპს "ა კ ა"
A K A GmbH
SERVICEABTEILUNG